ქალაქი თბილისი, დავით აღმასენებლის ქუჩა N116, ს.კ. 01.13.08.008.006.01.024. არასაცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

2023 წელი

ალბომის შინაარსი
1.1 განმარტებითი ბარათი

1.2 ობიექტის დახასიათება და მისი განხორციელების პირობები

1.3 შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები

1.4 შრომის უსაფრთხოება
2. დანართი
2.1 კალენდარული გრაფიკი
3. გრაფიკული ნაწილი
3.1 სამშენებლო გენგეგმა

განმარტებითი ბარათი
ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 116-ში, N 01.13.08.008.006.01.024 - საკადასტრო კოდის მქონე არასაცხოვრებელი ფართის სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია შემდეგი ნორმატიული, საცნობარო და სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენებით:
1. ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება N361, 2014 წლის 27 მაისი;

2. ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის დადგენილება N41.2016 წლის 28 იანვარი;

3. СНиП 3.01.01.85 ,, Организация Сиройтельного поизводства“

4. СНиП III-4-80* - Техника безопасности в строительстве;

5. СНиП 111-4-80* - Нормы продолжительности строительства и задела в строительстве предприятий, зданий и сооружении;

სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტის შედგენისას საწყის მონაცემებს შეადგენენ:
1. არქიტექტურული ნახაზები დამუშავებული არქიტექტორის ნინო ხვიტარიას მიერ;
2. ამსახველი ფოტო მასალა;

აღნიშნული პროექტის საფუძველზე სამშენებლო კომპანიამ უნდა შეადგინოს სამუშაოთა წარმოების პროექტი, სადაც დეტალურად იქნება დამუშავებული კონკრეტული სამუშაოების წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია.
ობიექტის დახასიათება და მისი განხორციელების გზები
ქ.თბილისში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N 116-ში, N 01.13.08.008.006.01.024- საკადასტრო კოდის მქონე საცხოვრებელი ფართის წარმოადგენს ინდივიდუალურ არასაცხოვრებელ კომერციული ტიპის სახით. რომლის მესაკუთრეა შპს კაკაბეთი ს/კ 201947064 - ს საკუთრება, რომელსაც შესასვლელი აქვს ქუჩიდანაც და ეზოდანაც, საიდანაც მოწყობილია მთავარი და ძირითადი შესასვლელი, სხვა მხრიდან აღნიშნულ ფართს შესასვლელი არ გააჩნია და მისი მოსარგებლეა მხოლოდ შპს კაკაბეთი.

სამუშაოების წარმოების ვადები

სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადა განსაზღვრულია სამუშაოთა მოცულობების და მათი წარმოების თანმიმდევრობის საფუძველზე.

კალენდარული გრაფიკის მიხედვით, დამკვეთთან შეთანხმებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხანგძლივობა შეადგენს 365 კალენდარულ დღეს, მათ შორის მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი პერიოდი შეადგენს 6 კალენდარულ დღეს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კალენდარულ გეგმაზე ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შემოთავაზებული თანმიმდევრობა სარეკომენდაციო ხასიათისაა. მშენებლობამდე სამშენებლო ორგანიზაციის მიერ დამკვეთთან შეთანხმებით უნდა შედგეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომელსაც თან უნდა დაერთოს სამშენებლო საწარმოო ბაზაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით შესრულებული გეგმა გრაფიკი. მოცემული გრაფიკის კორექტირება შესაძლებელია დამკვეთის ინტერესების და მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ძირითადი სამუშაოების წარმოების მოთხოვნები

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების დაწყებამდე უნდა შესრულდეს ტვირთამწე მოწყობილობებისა და ექსპლუატაციის წესების მკაცრი დაცვა, საქართველოს მთავრობის N429 დადგენილება 01.01.2014 წ. ტექნიკური რეგლამენტი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N477 დადგენილება „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად - შემდეგი ღონისძიებების გატვალისწინებით:

- სამუშაოს დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურიდან მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ;
- სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების გატანა განხორციელდეს პერიოდულად შესაბამისი სატრანსპორტო მანქანების გამოყენებით;
- განსაზღვრულ იქნენ მშენებლობის მონაწილენი;

 მშენებარე ობიექტზე მუდმივად წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტაცია.

სამუშაო კადრების უზრუნველყოფა
სამშენებლო სამუშაოების წარმოების უზრუნველყოფა ხორციელდება კვალიფიციური კადრებით (დიპლომირებული და სერთიფიცირებული კადრებით).
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს პირობების დაცვა
სამშენებლო-სამონტაჟო ყველა სამუშაო ობიექტზე სრულდებოდეს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლს 27 მაისის N361 დადგენილების და „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად.
დაუშვებელია სამუშაო ზონაში უცხო პირების ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების დალევა, მუშაობა ავადმყოფურ და გადაღლილ მდგომარეობაში. განსაკუთრებით სახიფათო უბანზე მუშაობის წინ მუშებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი და გაიცემა განაწესის - დაშვება.
განაწესი - დაშვება გაიცემა სამუშაოთა წარმოებაზე პასუხისმგებელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის მიერ, რომელიც დანიშნულია მშენებლობის ხელმძღვანელის ბრძანებით. განსაკუთრებით სახიფათო უბანზე სამუშაოდ დაიშვება ბრიგადა არა ნაკლებ სამი კაცის შემადგენლობით, უფროსის (ბრიგადირის) ჩათვლით, რომელიც ინიშნება ყველაზე კვალიფიციური მუშებიდან:
სახიფათო უბნების მომსახურების დროს მუშახელი შეიძლება აღმოჩნდეს სახიფათო და მავნე საწარმოო ფაქტორების წინაშე, რომელთა მიმართაც უნდა გაითვალისწინონ უსაფრთხოების ღონისძიებები: მომწამლავი და მხუთავი აირები, მაღალი და დაბალი ტემპერატურა, ჰაერის მაღალი ტენიანობა, ჰაერის გაზრდილი მოძრაობა, სამუშაო ზონის არასაკმარისი განათებულობა, სრიალა იატაკი, გაზრდილი ფიზიკური დატვირთვები, განსაკუთრებით სახიფათო უბნებზე მომუშავე ბრიგადა აღჭურვილი უნდა იყოს: პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქით; დამცავი თავსაბურავით ან მუზარადით; სამაშველო სარტყელით, სამხრე ქამრებითა და 2000 ნ დატვირთვაზე გამოცდილი თოკით. ინსტრუმენტის, მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენის, აგრეთვე ხანძრისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მუშაკთა

ტრამვირებისა და მოწამვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელს.
სამუშაოთა დაწყების წინ, პირები რომლებიც დაშვებულნი არიან სამუშაოზე გაცნობილი უნდა იყვნენ სამუშაოთა წარმოების უსაფრთხო მეთოდებზე.
სამუშაოების წარმოებისას მუშა-პერსონალის მიერ გამოყენებული უნდა იყოს რესპირატორები, დამცავი სათვალე, ხმაურდამხშობი საყურისები, ხელთათმანები, ჩაფხუტები. სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია ელექტროკაბელებისა და სადენების შემოწმება. არც ერთი მექანიზმი და მოწყობილობა არ უნდა დარჩეს დიდხან ჩართულ მდგომარეობაში.

#		dRe	12 თვე			
			3	6	9	12
))						
1.et.	სავენტილაციო მილის მოწყობა	30				
2.et.	ფასადის გაწმენდა და ღებვა	120				
3.et.	სარეკლამო აბრის მონტაჟი	40				
4.et.	პერგოლას ძირითადი და მეორადი კონსტრუქციების მონტაჟი	120				
5.et.	დასუფთავება, ნაგვის გატანა	15				